11.08.2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგა ცემენტი"-ს (ს/კ 404582153) დირექტორი

ბ-ნი დავით ჯიქიას

ელ.ფოსტა. davit.jikia@inbox.ru
მობ. 592 90-91-91; 551 26-00-07

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგა ცემენტი"-ს ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №175ა. ს.კ. 02.07.02.523,** გააჩნია ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანმამატების დაფქვით) (GPS კოორდინატში X-503375.00 Y-4595640.00).

აღნიშნული საწარმო წარმოადგენდა შპს „სინათლე"-ს (ს/კ 216295970) საკუთრებას, რომელზედაც სამინისტროს მიერ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №18 (11.08.2011) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №2-709 (19.05.2021) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს # 2-853 (11/06/2021) ბრძანების საფუძველზე შპს „სინათლე"-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „მეგა ცემენტს".

საწარმოში განხორციელდა ექსპლოატაციის ცვლილებები, კერძოდ საწარმოში დამონტაჟებული წისქვილის წარმადობა, რომელიც ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და №2-709 (19.05.2021) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად უნდა ყოფილიყო 15 ტ/სთ-ში, ხოლო მისი მუშაობისას დადგინდა, რომ მასში შესაძლებელია საათში 25 ტონა ცემენტის დაფქვა (პრაქტიკულად მოხდა საათში 25 ტონის დაფქვა).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგა ცემენტი"-ს მიერ აღნიშნული საწარმოს შესყიდვისა და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შემდეგ, საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი 4 სილოსისა, დამონტაჟებულია დამატებით 3 ცალი სილოსი, რომელთა თითეულის ტევადობაა 90 ტონა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის №2-709 (19.05.2021) საფუძველზე დაგეგმილი იყო საშრობი დოლის ფუნქციონირება, ის საწარმოში არ დამონტაჟებულა და შემდგომშიც არ იგეგმება მისი მონტაჟი და ფუნქციონირება.

№ 14327
"11" 08 2021
ფ

საწარმოში დაიგეგმა გაიზარდოს საწარმოს მუშაობის საათები, კერძოდ 12 საათიანი სამუშაო დღე გაიზარდოს 24 საათიან სამუშაო დღით (სამცვლიანი რეჟიმი) და წელიწადში 260 დღიანი სამუშაო დღე გაიზარდოს 330 სამუშაო დღით, ანუ წელიწადში 7920 საათი.

ზემოთ აღნიშნული სამუშაოო საათების გაზრდის და წისქვილში საათში 25 ტონა ცემენტის დაფქვის შესაძლებლობიდან გამომდინარე, საწარმოს წლიური სიმძლავრე 46800 ტონიდან გაიზრდება 198000 ტონამდე.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა", ამიტომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეგა ცემენტი"-ს ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანმამატების დაფქვით) ზემოთ აღნიშნული** ცვლილებებთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით

დავით ჯიქია

MEGA CEMENT
404582153
GEORGIA MEGA CEMENT LLC

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;